

დამტკიცებულია:

სსიპ – სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის

აკადემიური საბჭოს დადგენილებით #26

"22" "06" 2020 წ. ოქმი #3

თავმჯდომარე: ასოცირებული პროფესორი მ. ბერიძე

სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში შესაბამისი

კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევის წესი

მუხლი 1. ზოგადი დებულებები

1. სსიპ-სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტში (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) უმაღლესი განათლების საგანმანათლებლო პროგრამებზე შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის (შემდგომში - „მოწვეული სპეციალისტი“) მოწვევის წესი (შემდგომში - „წესი“) შემუშავებულია საქართველოს კანონის „უმაღლესი განათლების შესახებ“; საქართველოს შრომის კოდექსის; სსიპ სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების; უნივერსიტეტის შინაგანაწესისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ნორმების შესაბამისად.

2. უნივერსიტეტი უფლებამოსილია აკადემიური ან მასწავლებლის თანამდებობის დაკავების გარეშე მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით. მოწვეულ სპეციალისტთან შრომით ხელშეკრულებას აფორმებს რექტორი. მოწვეული სპეციალისტის შრომის ანაზღაურების წესსა და ოდენობას ამტკიცებს წარმომადგენლობითი საბჭო აკადემიური საბჭოსა და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის წარდგინებით.

3. მოწვეული სპეციალისტის შერჩევისას, მათ შორის ვაკანსიის შესახებ განცხადების გამოქვეყნებისას აკრძალულია ნებისმიერი დისკრიმინაცია (პირდაპირი თუ ირიბი). დისკრიმინაციად ჩაითვლება განზრახ ან გაუფრთხილებლობით პირის განსხვავება ან გამორიცხვა ან მისთვის უპირატესობის მინიჭება რასის, კანის ფერის, ენის, ეთნიკური ან სოციალური კუთვნილების, ეროვნების, წარმოშობის, ქონებრივი ან წოდებრივი მდგომარეობის, შრომითი ხელშეკრულების სტატუსის, საცხოვრებელი ადგილის, ასაკის, სქესის, სექსუალური ორიენტაციის, შეზღუდული შესაძლებლობის, ჯანმრთელობის მდგომარეობის, რელიგიური, საზოგადოებრივი, პოლიტიკური ან სხვა გაერთიანებისადმი (მათ შორის, პროფესიული კავშირისადმი) კუთვნილების, ოჯახური მდგომარეობის, პოლიტიკური ან სხვა შეხედულების გამო ან სხვა ნიშნით.

მუხლი 2. წესის მიზანი და დანიშნულება

1. უნივერსიტეტის საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის მოწვევის წესის მიზანია, უზრუნველყოს უმაღლეს საგანმანათლებლო პროგრამებზე მათი განხორციელების მიზნით პერსონალის მოწვევა მოქმედი კანონმდებლობის

მოთხოვნების, უნივერსიტეტისა და მოწვეული პერსონალის ინტერესების გათვალისწინებით.

2. აგრეთვე, ამ წესის მიზანია, განსაზღვროს უნივერსიტეტში სასწავლო ან/და სამეცნიერო-კვლევით პროცესში მონაწილეობის ან/და ამ პროცესის წარმართვის მიზნით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის შერჩევისა და შეფასების პროცედურა.

3. წესის დანიშნულებაა, გათვალისწინებული პროცედურების დაცვით საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შესაბამისი კვალიფიკაციისა და გამოცდილების მქონე პერსონალის მოწვევის უზრუნველყოფა განსაზღვრული ვადით კონკრეტული სამუშაოს შესასრულებლად.

მუხლი 3. მოწვეული პერსონალის შერჩევის კრიტერიუმები

1. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.

2. საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

2.1. სემინარული, პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს შესაბამისი მიმართულებით პრაქტიკული მუშაობის არანაკლებ სამი წლის გამოცდილება და იმავე მიმართულების მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალისტის რეკომენდაცია;

2.2. სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, დოქტორანტი (იმავე მიმართულების მომუშავე პროფესორის/მეცნიერის რეკომენდაციით), რომელსაც აქვს პუბლიკაციები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

3. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

3.1. სემინარული/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, დოქტორანტი, რომელსაც აქვს შესაბამისი პროფილით მომუშავე პროფესორის/მეცნიერის რეკომენდაცია;

3.2. სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის/ან შესაბამისი პრაქტიკული გამოცდილების (საგანმანათლებლო პროგრამის სპეციფიკის გათვალისწინებით) მქონე პირი, დოქტორანტი (იმავე მიმართულების მომუშავე პროფესორის/მეცნიერის/სპეციალისტის რეკომენდაციით) რომელსაც აქვს—პუბლიკაციები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

4. სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების განსახორციელებლად შეიძლება მოწვეული იქნეს:

4.1. სემინარული/პრაქტიკული/ლაბორატორიული მეცადინეობების ჩასატარებლად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი.

4.2. სალექციო კურსის წასაკითხად დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პუბლიკაციები და/ან სხვა სახის აქტივობები შესაბამისი მიმართულების მიხედვით.

5. საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამების უცხო ენების პრაქტიკული და სემინარული მეცადინეობების ჩასატარებლად შეიძლება მოწვეულ იქნეს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელსაც აქვს პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ ერთი წლის გამოცდილება, შესაბამისი უცხო ენის ცოდნის მაღალი კომპეტენცია, დარგობრივი ენების სწავლების გამოცდილება და/ან ტრენინგები/პუბლიკაციები/ კონფერენციები ენის სწავლების მეთოდოლოგიაში.

მუხლი 4. მოწვეული სპეციალისტის შერჩევის წესი

1. მოწვეული სპეციალისტის უნივერსიტეტში მიღება ხდება ორი გზით:

- ა) ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანის წარდგინებით;
- ბ) ღია კონკურსის გზით;

2. ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულის დეკანს უფლება აქვს, წარადგინოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე კანდიდატურები სამსახურში მიღების მიზნით, ღია კონკურსის გარეშე.

3. იმ კანდიდატის მიღების შემთხვევაში, რომელთანაც უნივერსიტეტს თანამშრომლობის გამოცდილება არ აქვს, ფაკულტეტის დეკანი უფლებამოსილია პროგრამის ხელმძღვანელთან და ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის წარმომადგენელთან ერთად კანდიდატთან ჩაატაროს გასაუბრება.

4. დეკანის წარდგინებით შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტის უნივერსიტეტში მოწვევაზე გადაწყვეტილებას იღებს რექტორი.

5. კონკურსის გზით სპეციალისტის მოწვევის მიზნით ფაკულტეტის დეკანი პროგრამის ხელმძღვანელთან, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებასთან შეთანხმებით განსაზღვრავს დამატებით საკონკურსო პირობებს, საკონკურსო კომისიის შემადგენლობას, მოსაწვევი სპეციალისტის საკვალიფიკაციო მოთხოვნებს და განსახილველად წარუდგენს ფაკულტეტის საბჭოს.

6. კონკურსის გამოცხადებისა და საკონკურსო პირობების შესახებ ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილება ეგზავნება რექტორს კონკურსის გამოცხადების თხოვნით;

მუხლი 5. მოწვეული სპეციალისტის ძირითადი საკონკურსო პირობები

1. კონკურსში მონაწილეობის მისაღებად კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს:

- ა) განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;
- ბ) CV (ელექტრონული სახით);
- გ) 2 ფოტოსურათი 3x4 ელექტრონული სახით;

დ) მაგისტრის/დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის დამადასტურებელი დოკუმენტის შესაბამისი წესით დამოწმებული ასლი;

ე) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი;

ვ) ცნობები;

- სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ.
- უფლების ჩამორთმევის შესახებ.

ზ) კონკურსის პირობებით განსაზღვრული დამატებითი დოკუმენტ(ებ)ი.

2. წარმოდგენილი დოკუმენტაციის/ინფორმაციის უტყუარობაზე პასუხისმგებელია განმცხადებელი.

3. ერთი და იგივე პოზიციაზე რამდენიმე კანდიდატურის არსებობის შემთხვევაში კომისია ადგენს მოსაწვევი სპეციალისტის რეიტინგს წარმოდგენილი დოკუმენტაციის ან/და გასაუბრების საფუძველზე.

4. გამარჯვებულ კონკურსანტთან გაფორმდება პირობითი ხელშკრულება. შრომითი სამართლებრივი ხელშეკრულება გაფორმდება სასწავლო წლის დაწყებამდე არაუგვიანეს ერთი კვირისა.

მუხლი 6. საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობები

1. რექტორი იღებს გადაწყვეტილებას კონკურსის გამოცხადების შესახებ და გამოსცემს შესაბამის ბრძანებას, რომელშიც მითითებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ განსაზღვრული საკონკურსო პირობები.

2. კონკურსის ჩატარების ვადები და პირობები ქვეყნდება საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით. საბუთების მიღება გრძელდება არანაკლებ 1 კვირისა.

3. კონკურსის გამოცხადების შესახებ რექტორის ბრძანება უნდა განთავსდეს უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე.

4. კონკურსის გამოცხადებასა და ჩატარებას ორგანიზებას უწევს უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება;

5. მოწვეული სპეციალისტის შესარჩევად (კონკურსის ჩასატარებლად), ფაკულტეტზე იქმნება საკონკურსო კომისია, რომლის შემადგენლობას (თავმჯდომარე; წევრები) ამტკიცებს ფაკულტეტის საბჭო. კომისიის წევრთა რაოდენობა უნდა შედგებოდეს არანაკლებ ხუთი წევრისაგან.

6. საკონკურსო კომისიის მდივანი აირჩევა კომისიის პირველ სხდომაზე. საკონკურსო კომისიის მდივანი უზრუნველყოფს კომისიის საქმისწარმოებას, ადგენს კომისიის სხდომის დღის წესრიგს და სხდომის ოქმებს რეგისტრაციაში გატარებულ კანდიდატებს აძლევს შესაბამის ცნობებს, რეგისტრაციაში ატარებს საკონკურსო კომისიაში შესულ კორესპონდენციებს (მათ შორის განცხადებებს/საჩივრებს).

7. საკონკურსო კომისიის სხდომის მოწვევის უფლება აქვს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარეს ან მისი წევრების არანაკლებ 1/3-ს. საკონკურსო კომისიის სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება სრული შემადგენლობის 2/3 მაინც.

8. საკონკურსო კომისია გადაწყვეტილებებს იღებს ღია კენჭისყრის წესით, კომისიის სრული შემადგენლობის უმრავლესობით, რაც ფორმდება შესაბამისი ოქმით.

9. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადამწყვეტია სხდომის თავმჯდომარის ხმა.

10. **საკონკურსო კომისიის უფლება-მოვალეობებში შედის:**

ა) კონკურსის შედეგად შეარჩიოს მოწვეული სპეციალისტი;

ბ) მიიღოს და განიხილოს საპროცედურო დარღვევებთან დაკავშირებული განცხადებები /საჩივრები;

გ) სათანადო საფუძველების არსებობის შემთხვევაში ნაწილობრივ ან მთლიანად გააუქმოს ან შეცვალოს მიღებული გადაწყვეტილება;

დ) მიიღოს გადაწყვეტილება მის კომპეტენციაში შემავალ სხვა საკითხებზე.

11. საკონკურსო კომისიის წევრი არ შეიძლება იყოს კონკურსანტი.

12. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს და ხელს აწერს შესაბამის ოქმებს.

13. საკონკურსო კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების დროებით განხორციელების შეუძლებლობის შემთხვევაში საკონკურსო კომისიის სხდომებს შეიძლება ხელმძღვანელობდეს კომისიის ერთ-ერთი წევრი, რომელიც აირჩევა კომისიის სხდომაზე.

14. კონკურსი ტარდება, თუ გამოცხადდა საკონკურსო კომისიის წევრთა არანაკლებ 2/3.

15. კონკურსანტის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, ისეთი ინფორმაციის აღმოჩენის შემთხვევაში, რომელიც არ შეესაბამება სინამდვილეს, შემოსულ განცხადებაზე წყდება საქმის წარმოება.

16. ფაკულტეტის საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

17. კონკურსის ჩატარების დღეს საკონკურსო კომისია იხილავს კონკურსში მონაწილე თითოეული კონკურსანტის მონაცემებს ღია კენჭისყრით ხმას აძლევს კონკურსანტს. საკონკურსო კომისიის კენჭისყრის შედეგები და გადაწყვეტილებები ფიქსირდება შესაბამის ოქმში.

18. კონკურსში თუ არ მონაწილეობდა არცერთი კონკურსანტი ან კონკურსის ჩატარების შედეგად არ შეივსო შესაბამისი ვაკანსიები, დარჩენილ ვაკანსიებზე ინიშნება ხელახალი კონკურსი ამ მუხლით განსაზღვრული პროცედურების სრული დაცვით.

19. საკონკურსო კომისიის სრული დოკუმენტაცია კონკურსის დასრულების შესვლის შემდეგ გადაეცემა ადამიანური რესურსების მართვის განყოფილებას.

მუხლი 7. პირადი საქმის წარმოება

1. კანდიდატის მიერ წარმოდგენილი ძირითადი დოკუმენტაცია ინახება პირად საქმეში, რომელსაც აწარმოებს ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება.

2. უნივერსიტეტის ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება თანამშრომელთა მიღებისას პირად საქმეს აწარმოებს ცალკ-ცალკე, თითოეული თანამშრომელისათვის.

3. პირად საქმეში ინახება:

ა) კანდიდატის განცხადება უნივერსიტეტის რექტორის სახელზე;

ბ) განათლების დამადასტურებელი დოკუმენტების ასლები (დიპლომი, კვალიფიკაციის დამადასტურებელი სერტიფიკატები, კვალიფიკაციის ამაღლების დამადასტურებელი საბუთები და სხვა);

გ) ფოტოსურათი;

დ) CV;

ე) პირადობის მოწმობის ასლი;

ვ) ცნობები: სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის შესახებ; უფლების ჩამორთმევის შესახებ.

მუხლი 8. გარდამავალი დებულება

1. წინამდებარე წესს ამტკიცებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო.
2. წინამდებარე წესში ცვლილებების შეტანა შესაძლებელია აკადემიური საბჭოს დადგენილების საფუძველზე.

შეტანილი ცვლილებები:

აკადემიური საბჭოს 2021 წლის 22 იანვარი, ოქმი 1, დადგენილება N5;